კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

წელი უფლისა

2019

ითარგმნა და დაიბეჭდა
მეუფე ფაუზეპე პაზოტოს
ლოცვა–კურთხევით

მთარგმნელი:
ირაკლი ფავახიშვილი

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

ძველი აღთქმა

დაბ - დაბადება
გამ - გამოსვლა
ლევ - ლევიანნი
რიცხ - რიცხვთა
რფლ - მეორე რფული
იესო - იესო ნავეს ძე
მსფ - მსაფულნი
რუთ - რუთი
1მეფ - პირველი მეფეთა
2მეფ - მეორე მეფეთა
3მეფ - მესამე მეფეთა
4მეფ - მეოთხე მეფეთა
1ნეშტ - პირველი ნეშტთა
2ნეშტ - მეორე ნეშტთა
1ეზრ - პირველი ეზრა
ნეემ - ნეემია
ესთ - ესთერი
იობ - იობი
ფს - ფსალმუნნი
იგ - იგავნი სოლომონისა
ეკლ - ეკლესიასტე
ქებ - ქებათა-ქება
ეს - ესაია წინასწარმეტყველი
იერ - იერემია წინასწარმეტყველი
გოდ - გოდება იერემიასი
ეზეკ - ეზეკიელ წინასწარმეტყველი
დან - დანიელი
ოს - ოსია წინასწარმეტყველი
იოელ - იოელ წინასწარმეტყველი
ამ - ამოს წინასწარმეტყველი
აბდ - აბდია წინასწარმეტყველი
იონ - იონა წინასწარმეტყველი
მიქ - მიქა წინასწარმეტყველი
ნაუმ - ნაუმ წინასწარმეტყველი
აბაკ - აბაკუმ წინასწარმეტყველი
სოფ - სოფონია წინასწარმეტყველი
ანგ - ანგია წინასწარმეტყველი
ზაქ - ზაქარია წინასწარმეტყველი
მალ - მალაქია წინასწარმეტყველი
1მაკ - პირველი მაკაბელთა
2მაკ - მეორე მაკაბელთა
3მაკ - მესამე მაკაბელთა
4მაკ - მეოთხე მაკაბელთა
ბარ - ბარუქ წინასწარმეტყველი
2ეზრ - მეორე ეზრა
3ეზრ - მესამე ეზრა
ივდ - ივდითი
ეპ. იერ. - ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ - წიგნი სიბრძნისა
ზირ - სიბრძნე ზირაქისა
ტობ - ტობითი

ახალი აღთქმა

მთ - მათეს სახარება
მარ - მარკოზის სახარება
ლკ - ლუკას სახარება
იო - იოანეს სახარება
საქმ - საქმე მოციქულთა
რომ - რომაელთა მიმართ
1კორ - 1 კორინთელთა
2კორ - 2 კორინთელთა
გალ - გალატელთა მიმართ
ეფ - ეფესელთა მიმართ
ფილიპ - ფილიპელთა მიმართ
კოლ - კოლასელთა მიმართ
1თეს - 1 თესალონიკელთა მიმართ
2თეს - 2 თესალონიკელთა მიმართ
1ტიმ - 1 ტიმოთეს მიმართ
2ტიმ - 2 ტიმოთეს მიმართ
ტიტ - ტიტეს მიმართ
ფილიმ - ფილიმონეს მიმართ
ებრ - ებრაელთა მიმართ
იაკ - წმ. იაკობის წერილი
1პეტ - წმ. პეტრეს I წერილი
2პეტ - წმ. პეტრეს II წერილი
1იო - წმ. იოანეს I წერილი
2იო - წმ. იოანეს II წერილი
3იო - წმ. იოანეს III წერილი
იუდ - წმ. იუდას წერილი
გამოცხ - გამოცხადება

1 იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს],თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და
ძმა მისი საბა ხახულელნი

2019 სამშაბათი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

უფალმა გაკურთხოს და დაგიცვას რიცხ 6,24

როდესაც მღვდელი, ან უბრალო ქრისტიანიც, სულიწმიდის მიერ შთაგონებულ კურთხევის სიტყვებს წარმოთქვამს, მათ მამა და იესო აღასრულებენ, რაკი ეს სიტყვები მათი სიყვარულიდან მომდინარეობს. დღეს, კურთხევა, რომელსაც ვღებულობთ, ნათელი და ძალაა მთელი წლისათვის, მარიამის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, შუამდგომლობითაც.

2 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

წმ. ბასილ დიდი, +379, და
წმ. გრიგოლ ნაზიანზელი +390, ეპ. და მოძ. (მ)

2019 ოთხშაბათი

1იო 2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

მე ვარ ხმა მღაღადებლისა უდაბნოში იო 1,23

იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში ღაღადებდა და მოუხმობდა ერს, რომ მესიის მისაღებად მომზადებულიყვნენ. ვინაიდან იგი სულიწმიდაში მონათლავდა. ცოდვას რომ მიუტევებდა, გულებში გააღვივებდა უნარს, რომ ღმრთისა და ძმების სიყვარულში დარჩენილიყვნენ. გმადლობ, იესო: შენ ხარ „ემანუელი". გმადლობ, რომ გიყვარვართ, ისევე როგორც ჩვენ, და რწმენით, რომ შენ ხარ ძე ღმრთისა, ჩვენ შევძლებთ ზეცის გამოცდილების მიღებას.

3 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

იესოს უწმიდესი სახელი;
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი

2019 ხუთშაბათი

1იო 2,29 - 3,6; ფს 97; იო 1,29-34

იგია სულიწმიდით ნათლისმცემელი იო 1,33

მრავალი წელი დავდიოდი წირვაზე, ვინაიდან ასე მასწავლიდნენ ჩემი მშობლები, რომლებიც ძლიერ ზრუნავდნენ ჩემზე. მაგრამ ერთ დღეს მივხვდი, სულიწმიდის ნიჭის წყალობით, რომ დავდიოდი, რათა პასუხი გამეცა იესოს მოხმობაზე და საკუთარი თავი მეპოვნა, მის ძმებთან ერთად, რათა მისი სიყვარულით გამეხარა. და მაშინ დავიწყე სწავლა იმისა, რომ ცხოვრება მიმეძღვნა მამისთვის, იესოს მსგავსად. დიდება შენს სახელს, უფალო იესო!

4 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2019 პარასკევი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

უთხრა მათ: "წამოდით და ნახეთ" იო 1,39

იოანე ნათლისმცემლის ორი მოწაფე ეძებ-
და იესოს, ხოლო მან, როდესაც დაინახა,
რომ მათი წადილი გულწრფელი იყო,
მიიღო ისინი თავისთან, რათა ეგემათ მისი
სიყვარული ზეციერი მამისადმი და მისი
მოზიარენი გამხდარიყვნენ. მეც შემიძლია
ვკითხო საკუთარ თავს: სერიოზულია კი
ჩემი ძიება? რამეს ვეძებ თუ ვინმეს? რამეს
ვეძებ, რომ ცხოვრებით დავტკბე, თუ ვინ-
მეს, რომ ვემსახურო და მიყვარდეს?

5 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2019 შაბათი

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება 1იო 3,14

თავისი ცხოვრებით იესომ გვიჩვენა, რას ნიშნავს, გიყვარდეს. მან თავი მიუძღვნა ყველას და, პირველ რიგში, მამას, თვით ჯვარზე სიკვდილამდე. ასე დაგვიხსნა სიკვდილის იმგვარი ყოფისაგან, ჩვენი ნაკლოვანი სიყვარულის ნაყოფი რომაა. გმადლობ, იესო, შენი შეწევნისათვის, რომ შენს მაგალითს მივყვეთ ჭეშმარიტი გზით ცხოვრებისათვის.

6 იანვარი

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

2019 კვირა

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა,5-6; მთ 2,1-12

ვიხილეთ მისი ვარსკვლავი და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას მთ 2,2

ძმებს შორის ჩემი გზა რომ დავიწყე, ჩემს მოსაძებნად ნაცნობები მოვიდნენ: მათ მონაწილეობა მიიღეს მწუხრში. მუხ-ლმოდრეკილი რომ ვიყავი ევქარისტიული კურთხევისათვის, შინაგანი ხმა მომესმა: „მუხლს ნუ მოიდრეკ“! ჩემს მეგობრებსა და იმ შესაძლებლობაზე ფიქრისას, რომ იესოსთვის დამემოწმებინა ჩემი პასუხის მნიშვნელობა და მივყოლოდი მას, საკუ-თარ გულში ვუთხარი მას: „შენ ხარ, ვისაც მსურს, რომ თაყვანი ვცე“! და მუხლი მო-ვიდრიკე. ყველას შეუძლია ამის გაკეთება, ვინაიდან მაცხოვარი მეფე ხარ შენ, იესო!

7 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. +1275

2019 ორშაბათი

1იო 3,22-4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოექეცით ვინაიდან მოახლოებულია ცათა სასუფეველი მთ 4,17

მწამს, რომ მოახლოებულია ცათა სასუფეველი: ხელთა მაქვს მშვიდობა და სიყვარული. როდესაც წმ. წირვაზე ან კატექიზაციაზე, ანდა თანაზიარების რაიმე მომენტზე ვიკრიბებით, ჩვენთან იესო იმყოფება. საკუთარ თავს ვეკითხები: ვარ კი მზად იმის მისაღებად, რისი გაცემაც მომიწევს? და იმის გასაკეთებლად, რასაც მომთხოვენ?

8 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

2019 სამშაბათი

1იო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

ღმერთი სიყვარულია 1იო 4,8

ღმერთი, რომელზეც წმ. იოანე საუბრობს, ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მამაა. იგი სიყვარულია, იგი ერთადერთი ღმერთია. ჩვენ შეგვიძლია იესოში დავინახოთ მისი სიყვარული. ამ დღეებში ჩვენ თაყვანს ვცემთ სუსტ ყრმას, მამის მთელ სიფაქიზეს რომ გვიჩვენებს, ყრმას, რომელსაც არასდროს შერცხვება, რომ სიგლახაკეში დაიბადოს, ან თუნდაც სუნში, ჭუჭყსა და ბოსლის ჩალის სიბინძურეში. გმადლობ, იესო: მომმადლე მეც, რომ არ დავიჩივლო და ყოველგვარ ვითარებაში გავიღიმო.

9 იანვარი

შობის ჟამი II, [ს], თ

(27. XII) ღირსი სტეფანე ხირსელი,
13 ასურელ მამათაგანი (VIს)

2019 ოთხშაბათი

1იო 4,11-18; ფს 71; მარ 6,45-52

ავიდა მათთან ნავში და ჩადგა ქარი მარ 6,51

როდესაც, ცხოვრების რთულ მომენტებში, ცოცხალი რწმენით თავს ვაფარებ იესოს, იმ რწმენით, რომ იგი მზადაა ჩემს დასახ-მარებლად, ვგრძნობ მის შემწეობას და უშფოთველობა და სიმშვიდე მეუფლება. გმადლობ, იესო, რომ აქ ხარ, საუკუნოდ ცოცხალი, შენი ეკლესიის რთულ და ბნელ მომენტებში.

10 იანვარი

შობის ჟამი II [ს] თ

2019 ხუთშაბათი

1იო 4,19-5,4; ფს 71; ლკ 4,14-22

ყველა მას მისჩერებოდა ლკ 4,20

ნაზარეთში ყველა აღფრთოვანებული იყო იესოს სწავლებით. ბევრი მათგანისთვის იგი მოძღვარი იყო, სხვებისთვის კი - ნაცნობი, რომელზეც ყველაფერი იცოდნენ. სიყმაწვილეში მეც მესმოდა მისი ძალზე მომთხოვნი სიტყვა სიწმიდეზე, უპოვართა მიმართ მზრუნველობასა და მამისადმი დაიმედებაზე. შემდეგ დავივიწყე და მალევე აღმოვჩნდი სიცარიელესა და მოწყენილობაში. გმადლობ, იესო, რომ არ მიმატოვე, არამედ ხელახლა მომიხმე, რომ პატივისცემითა და ნდობით შემომეხედა შენთვის.

.

11 იანვარი

შობის ჟამი II [ს] თ

2019 პარასკევი

1იო 5,5-13; ფს 147; ლკ 5,12-16

ვისაც ძე ჰყავს, სიცოცხლე აქვს 1იო 5,12

მხოლოდ იესოსადმი რწმენით
შეგვიძლია გვქონდეს ჭეშმარიტი
სიცოცხლე და დავტკბეთ მისით.
იესო, შენ ხარ სიცოცხლე: ამას მაშინ
შევიცნობ, როდესაც შენ გმორჩილებ და
შენს სიყვარულში ვცხოვრობ;
მაშინ მაქვს მშვიდობა და სიხარული.
სულო წმიდაო, გმადლობ,
რომ შენში მღებულობ.

12 იანვარი

შობის ჟამი II [ს] თ

2019 შაბათი

1იო 5,14-21; ფს 149; იო 3,22-30

ნეფის მეგობარი სიხარულით ხარობს ნეფის ხმაზე იო 3,29

იესო, შენ ხარ ნეფე შენი ეკლესიისა, ისევე როგორც ყოველი ქრისტიანისა. შენ მოგვმადლი, რომ სიღრმისეულად გაგიცნოთ, შენი სიყვარული შევიცნოთ, რათა შენი ამგვარი შეცნობით გავიხაროთ, როდესაც შევძლებთ შენი ხმის მოსმენას, სიყვარულს, მიტევებას, მშვიდობას, ნათელს, იმედსა და მარადიული სიცოცხლის სიტყვებს რომ გვიბოძებს.

13 იანვარი

უფლის ნათლისღება «გ», დ, [ს], თ

2019 კვირა

ეს 40,1-5.9-11; ფს 103; ტიტ 2,11-14; 3,4-7; ლკ 3,15-16.21-22

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

მან გვიხსნა თავისი წყალობით ტიტ 3,5

მამა ღმერთმა დაგვიხსნა: რისგან, ვისგან? მან წმ. პავლე გაათავისუფლა მისივე ქედმაღლობისაგან, რომ უმწიკვლოდ იცავდა ებრაულ რჯულს და, ამგვარად, არად აგდებდა სხვა ყველას. მან იხსნა ტიტე რელატივისტური ცხოვრებისაგან, ყოველგვარ ვნებასა და სიამეს რომ მორჩილებს. მან მიხსნა მეც... და ეს გააკეთა თავისი ძის, იესოს, მეშვეობით, რომელიც ამ დღეებში "დამკვიდრდა ჩვენს შორის." მისი მეშვეობით განგვბანა, ნათლისღების გზით, თავისი სიყვარულის სულში.

14 იანვარი

2019 ორშაბათი

ებრ 1,1-6; ფს 96; მარ 1,14-20

მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას მარ 1,17

გმადლობ, იესო, რომ დღესაც ცოცხალი ხარ მათში, ვინც მოგელიან და ვისაც უყვარხარ. გმადლობ, რომ მათ, შენთან სამყოფელად რომ მოუხმობ, შენს თანამ-შრომლებად აქცევ ყველას სიკეთისათვის. ნეტარ არიან, ვინც ხელად იღებენ შენს ხმას. შემდეგ ისინი ერთგულებითა და სიხარულით გადასცემენ მას იმ სამყაროს, რომელში ცხოვრებისთვისაც მოუხმობ.

15 იანვარი

2019 სამშაბათი

ებრ 2,5-12; ფს 8; მარ 1,21-28

ვაუწყებ შენს სახელს ჩემს ძმებს ებრ 2,12

ასეთია ფსალმუნის სიტყვა, რომელსაც წერილი ებრაელთა მიმართ იესოს მიაკუთვნებს, როდესაც მას არ ესირცხვილება თავისი მორწმუნეები და მათ „ძმებს“ უწოდებს. იესო, ჩემს ცოდვასაც დაივიწყებ? ჰოდა, მეც ვაუწყებ შენს სახელს!

16 იანვარი

2019 ოთხშაბათი

ებრ 2,14-18; ფს 104; მარ 1,29-39

სიცხემ გაუარა და მოემსახურა მათ მარ 1,31

ფსალმუნი, რომლის სტრიქონიც ვილოცეთ, ამბობს: „ის არის მკურნალი ყველა შენი სნეულებისა“. იესო ისევე ასრულებს ამ სიტყვებს, როგორც პეტრეს სიდედრისთვის გააკეთა. მას თუ მივენდობით, იმედი არ გაგვიცრუვდება. იგი მოგვცემს შეძლებას, რომ ვემსახუროთ მას თავის ეკლესიაში. გმადლობ, იესო, რომ აქ ხარ კვლავაც და სამარადისოდ.

17 იანვარი

2019 ხუთშაბათი

რიგითი I კვირა [I] თ

წმ. ანტონ დიდი +356 (მ) / (4.I) წმ. ღირსნი ევაგრე მღვიმელი, ილია დიაკონი და სხვანი, მონაზონნი, VIს

ებრ 3,7-14; ფს 94; მარ 1,40-45

შეაგონებდეთ ერთმანეთს

ყოველდღე ებრ 3,13

გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს, წმიდა წირვაში მონაწილეობისას, წმ. აბატ ანტონს მოესმა მოხმობა, იესოსგან რომ იყო იმ „ვიღაცისთვის", რომ გაეყიდა ყველაფერი და გაჰყოლოდა მას. ანტონი კი უმალვე ასე მოიქცა. იესომ მეც მომიხმო, როდესაც ერთ დღეს, რეკოლექციის დროს, მღვდელი იმავე სახარებას განმარტავდა. ვიგრძენი, რომ მასში გადმოცემული სიტყვები ჩემს მიმართ იყო. და მე მომიცვა შეგონებამ, რომ დამეთმო ჩემი უზრუნველი ყოფა, პირველ რიგში ფული, და მეცხოვრა სიგლახაკეში, რათა იესოს გავყოლოდი. ახლა ფრიად მადლიერი ვარ მისი იმ ძალისათვის, მე რომ მიბოძა, მაშინ რომ დამეწყო და შემდეგ გამეგრძლებინა

18 იანვარი

2019 პარასკევი

ებრ 4,1-5.11; ფს 77; მარ 2,1-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

ყველა განცვიფრდა: "ასეთი რამ არასოდეს გვინახავს" მარ 2,12

იესომ დავრდომილი განკურნა მისი და მის მეგობართა რწმენის მეშვეობით. ასე მან თავის მოწინააღმდეგე სკეპტიკოსებს უჩვენა, რომ იგი მამასთან ერთადაა და შეუძლია ცოდვათა წარხოცა. იესო, გევე-დრებით ჩვენც, ქრისტიანებსაც, მოგვიტევე ჩვენი განყოფები და სიმდაბლე და რწმენა მოგვმადლე, რათა იმ ერთობას მივაღწიოთ, რისთვისაც შენ ლოცულობდი: მაშინ ყველა შეძლებს შენი სასწაულების დანახვას.

ებრ 4,12-16; ფს 18; მარ 2,13-17

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი მარ 2,17

მეც ფრიად მადლობელი ვარ იესოსი, ვინაიდან ფარისეველთა მსგავსი ყოფისაგან განმკურნა, - ყოფისაგან, რომელიც ლევის მდგომარეობაზე გაცილებით სავალალო იყო. მინდოდა, რომ კარგად წარმოვჩენილიყავი ღმერთის წინაშე. თითქმის ყოველ კვირადღეს მივდიოდი წირვაზე, ზოგჯერ აღსარებასაც ვაბარებდი და სულაც არ ვფიქრობდი, რომ რაიმე დიდს ვაკეთებდი. გმადლობ, იესო, რომ მომიხმე და მიხსენი სულიერი ქედმაღლობისგან, რაც გაუცნობიერებლად მაიძულებდა, რომ ჩემი ცხოვრების ცენტრში საკუთარი თავი დამეყენებინა შენს ნაცვლად.

20 იანვარი

რიგითი ჟამის II კვირადღე, «გ», [II], მწ

2019 კვირა

ეს 62,1-5; ფს 95; 1კორ 12,4-11; იო 2,1-11

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით იო 2,5

ამ სიტყვებით მიმართავს ყოვლადწმიდა მარიამი კანას ქორწილის მსახურებს. სახარების ამ მთლიან მონაკვეთში ჩვენ ვხედავთ დედის ავტორიტეტს, მტკიცე რწმენასა და ნდობას თავად იესო მიმართ. ჩვენც ვხარობთ ამით: ვინაიდან იესოს სურს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა გაიხაროს დედის ამ სიახლოვითა და თავისუფლებით მის მიმართ, და რწმენით მივენდოთ მას: უწინ ხომ მას უხარია.

იესო, მადლობას გწირავთ,
ვინაიდან ერთობას ანიჭებ ეკლესიას,
შენს სასძლოს: ესაა ღვინო, დღეს რომ
გთხოვს დედა შენი თავისი შვილებისთვის.

21 იანვარი

რიგითი II კვირა [II]

წმ. აგნესა ქალწ. წამ., +304 (მ), წ
(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ. +786 (მ), წ

2019 ორშაბათი

ებრ 5,1-10; ფს 109; მარ 2,18-22

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ახალ ღვინოს
ახალ ტიკებში ასხამენ მარ 2,22

იესო იცავს თავისიანებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ნათლისმცე-მლის მოწაფეთა და ფარისეველთა მარ-ხვაში. მისი მიღება საკუთარ ცხოვრებაში მართლაც „ახალი ღვინოა“: შეიცნობა და შეიგრძნობა ღმერთი, როგორც საკუთარი მამა, როგორც ნეფე. ეს აღარაა მის მიმართ რაიმე ლოცვის წარმოთქმა ან რომელიმე მცნებისადმი მორჩილება: თავად იგი ხდება ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სუნთქვა.

22 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ბიკენტი, მოწ. დიაკ. + 303

2019 სამშაბათი

ებრ 6,10-20; ფს 110; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ძე კაცისა შაბათის უფალიც არის მარ 2,28

იესო, შენ იცავ შენიანებს ფარისეველთა ბრალდებისგან, როდესაც საქმე ეხებოდა უწმიდესი რჯულის - შაბათი დღის - დაცვას. შენს მფარველობაში აქცევ როგორც რჯულს, ისე შენს მოწაფეებს. მართლაც, ჩვენ ყველასთვის, ქრისტიანებისთვის, ჩვენი გულის უფალი რომ ყოფილიყავი, ეკლესიათა შორის განყოფის მძიმე იარა ხელადვე განიკურნებოდა. ამის გამოც მწადია, რომ მთლიანად შენი ვიყო, შენივე შეწევნით.

23 იანვარი

2019 ოთხშაბათი

ებრ 7,1-3.15-17; ფს 109; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

შაბათ დღეს კეთილის კეთებაა ნებადართული თუ ბოროტისა? მარ 3,4

იესო ამ კითხვით მიმართავს მათ, ვინც მსჯავრს დებენ მას მისი ქცევისა და ღმრთის სიტყვის მისეული გაგების გამო. მას სურდა, რომ შეხებოდა მათ სასტიკ გულს, მაგრამ...
გმადლობ, იესო, იმ სიყვარულისთვის, მტრების მიმართაც რომ იჩენ, და გმადლობ, როდესაც მტუქსავ. შენ წმიდა და მდაბალ გულს გვჩუქნი. ასეთი გული უკვეა პატარა ნაბიჯი იმ ერთობისკენ, რომლისთვისაც ამ დღეებში ვლოცულობთ.

24 იანვარი

რიგითი II კვირა [II]

წმ. ფრანცისკე დე სალი, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +1622, (მ), თ

2019 ხუთშაბათი

ებრ 7,25-8,6; ფს 39; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ქრისტეს ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს ებრ 7,25

რა საოცარი სინამდვილეა!
შესაძლოა დღეს შენც, მეც, მოგვიხმოს
იესომ, რომ ეს უწყება რომელიმე ჩვენს
ძმათაგანს გადავცეთ: უსაზღვროდ გავიხარებთ, თუკი ჩვენი უფალი იესოს კეთილგანწყობის, გულმოწყალეობისა და
მაცხოვნებელი ძალის იარაღები ვიქნებით!
იესო, შენ დღესაც იღებ ჩვენს
დიდსა თუ მცირე მსხვერპლს
ეკლესიათა ერთობისათვის!

25 იანვარი

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

2019 პარასკევი

საქმ 22,3-16 ან საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული

არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

წადით მთელ მსოლიოში და ყველა ქმნილებას უქადაგეთ სახარება მარ 16,15

დღეს ზეიმია: ვიხსენებთ სავლეს, რომელიც შეხვდა აღმდგარ იესოს, და გახდა პავლე მოციქული. დღეს, კიდევ ერთხელ ვასრულებთ ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის კვირას. მოდი, სულო წმიდაო, რათა ჩვენ ყველამ, ვინც ვატარებთ „ქრისტიანის“ ლამაზ სახელს, უკეთესად გავიცნოთ იესო და უფრო ერთგულად შევასრულოთ ის დავალება, მან რომ მოგვანდო. მრავალი იარა განიკურნება, განსხვავებები კი საერთო ძღვენი გახდება: მამის გულში, რომელიც მხოლოდ სიყვარულია, უკვე „ერთნი“ ვიქნებით!

26 იანვარი

2019

რიგითი II კვირა [II]

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ), [ს], თ

შაბათი

2ტიმ 1,1-8 ან ტიტ 1,1-5; ფს 95; ლკ 10,1-9

მაშ, ნუ შეგრცხვება ჩვენი უფლის მოწმობისა 2ტიმ 1,8

წმ. პავლე ამ სიტყვებით შეაგონებს თავის მოწაფე ტიმოთეს, რომლებიც ჩვენც, იესოს მოწაფეებსაც, გვეხება. მისგან გამუდმებით ვღებულობთ სიცოცხლეს. მისი სიტყვისადმი ერთგულებით, მადლს მადლზე მივიღებთ იმ პირობებისგან დიდ თავისუფლებასთან ერთად, ჩვენ რომ გვზღუდავენ. გმადლობ, იესო, შენი სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ნაყოფისათვის, ყველას ხსნის ნაყოფისათვის.

27 იანვარი

2019 კვირა

რიგითი ჟამის III კვირადღე, «გ», [III]
(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

ნუ გაიქვავებთ გულებს ფს 95,8

წმიდაო ნინო,
მთელი შენი ცხოვრება
მიუძღვენი სულთა ხსნას,
გამოითხოვე ღმრთისაგან,
შენი შუამდგომლობით,
მოქცევის მადლი მათთვის,
ვისაც იგი ჯერ არ შეუცნია,
ან შეუცნია, მაგრამ არ სცემს თაყვანს
სულითა და ჭეშმარიტებით. ამენ.

28 იანვარი

2019 ორშაბათი

რიგითი III კვირა [III]
წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ), თ;
(15.I) წმმ. სალომე უჯარმელი და პეროჟავრ სივნიელი, IVს
წმ. არჩილ მეფე, წამებული, +774

ებრ 9,15.24-28; ფს 97; მარ 3,22-30

როგორ შეუძლია სატანას სატანის განდევნა? მარ 3,23

ადამიანები, რომლებიც მოხმობილნი არიან, რომ ხალხს ასწავლონ ღმრთის რჯული, შურით ყველას წინაშე შეურაცხყოფენ იესოს. ის კი, ერთგულად რომ აღასრულებს რჯულს, თავისი მამის სურვილებს, ეხმარება მათ, რომ დაფიქრდნენ, ცდილობს მათი სიბრმავისა და გულის მორჩენას. გმადლობ, იესო, ყველას ნათელო და წყალობავ.

29 იანვარი

2019 სამშაბათი

ებრ 10,1-10; ფს 39; მარ 3,31-35

აჰა, მოვდივარ... ღმერთო, შენი ნების აღსასრულებლად ებრ 10,7

იესო, ამ ქვეყნად შენს მოსვლამდე, ხალხი მსხვერპლშეწირვითა და ცხოველთა სისხლით ცდილობდა ღმერთთან მიახლოებას. მაგრამ შენ გვასწავლე, რომ ღმერთს აღარ მოსწონს ამგვარი შესაწირავი, რომელიც მხოლოდ სამზადისი იყო შენი მოსვლისათვის. იგი მამაა, რომელსაც ჩვენი სიყვარული სწადია, რომელსაც ჩვენი ნდობა და მორჩილება სჭირდება. ვინაიდან როდესაც მის წინამძღოლობას და ნებას ვღებულობთ, მშვიდობასა და სიხარულში ვიმყოფებით. და სწორედ ესაა, რაც მას სურს!

30 იანვარი

2019 ოთხშაბათი

ებრ 10,11-18; ფს 109; მარ 4,1-20

გამოვიდა მთესველი დასათესად მარ 4,3

იესოა, ასე რომ ლაპარაკობს, და იგია მთესველი, საუკუნო სიცოცხლის სიტყვას რომ თესავს, რომელიც ყოველგვარი სიცრუისგან გვიცავს და რომელიც გულის უღრმეს მოლოდინებს ასაზრდოებს. იესო, შენ გვეხმარები ჩვენი გულის მომზადებაში: მზად ვიქნებით, რომ სიხარულით და ნაყოფიერად მოვისმინოთ, მივიღოთ და შევასრულოთ შენი ყოველი სიტყვა.

31 იანვარი

რიგითი III კვირა [III]

წმ. იოანე ბოსკო, მღვ., +1888, სალელთა კონგრეგაციის
დამაარსებელი (მ) თ / (18.I) წმ. ღირსი ეფრემ მცირე, +1101

2019 ხუთშაბათი

ებრ 10,19-25; ფს 23; მარ 4,21-25

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

ვამხნევებდეთ ერთმანეთს ებრ 10,25

ეს სიტყვები ძვირფასი მოხმობაა ერთმანეთის დასახმარებლად, რომ შევუერთდეთ იესოს, ჩვენს მაცხოვარს, რომ გაგებით მოვეკიდოთ მათ მითითებებს, ჩვენ რომ გვემსახურებიან მის ეკლესიაში, როგორც მწყემსები და სულიერი მოძღვრები. გავიგონებ მიღებულ შეგონებებს და, თუ შესაძლებლობა მექნება, თავმდაბლად მოვიწვევ ვინმეს წირვაზე, კატექიზაციაზე, სიყვარულის ნიშნად, რომ ფიქრი უფლისკენ მივმართო.